



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 18 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №217/18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 21 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 ნოემბრის №174/217-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 ნოემბრის №173/217-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 11 იანვარს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა -- -- არ დააკმაყოფილა საჩივარი და უცვლელად დატოვა მოსამართლე --- მიერ 2018 წლის 16 ივლისს მიღებული განკარგულება, --- სასამართლო სხდომაზე დაჯარიმების შესახებ.

საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლე --- ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არის უკანონო და ტენდენციური. -- -- განცხადებით, სასამართლო განხილვაზე არ არსებობდა მისი დაჯარიმების არანაირი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე --- არსებითად განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს №-- ბრალდებულების ---, ---, --- და --- მიმართ.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, მოწმის სახით დაიკითხა ---. მოწმის დაკითხვის პროცესში,

ბრალდებული -- -- არ ემორჩილებოდა მოსამართლე -- -- მითითებებს, სასამართლოში წესრიგის დაცვის და მოწმისთვის კორექტული კითხვების დასმის თაობაზე.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობის 11:39:39 საათზე, მოსამართლემ გააფრთხილა -- -- და მიმართა - თუკი იგი არ შეწყვეტდა მოსამართლესთან კამათს, მოსამართლე მის მიმართ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ ჯარიმას.

სასამართლო სხდომის 11:40:38 საათზე, მოსამართლე -- --, ბრალდებული -- -- სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, დააჯარიმა 100 (ასი) ლარით.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის განკარგულება, 2018 წლის 18 ივლისის (განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათში) სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და ითხოვა მისი გაუქმება. საჩივარი და თანდართული მასალები -- სააპელაციო სასამართლოს გადაეცა 2018 წლის 09 აგვისტოს.

2018 წლის 09 აგვისტოს, -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა -- --, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა -- -- საჩივარი მოსამართლე -- -- 2018 წლის 16 ივლისის განკარგულების თაობაზე და საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ 2018 წლის 16 ივლისის განკარგულება -- -- დაჯარიმების შესახებ დატოვა უცვლელად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში მოსამართლე -- -- ქმედებათა შეფასების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული განკარგულება, გარდა დაპატიმრების შესახებ განკარგულებისა, შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი შეიძლება ამავე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი წესით გაასაჩივროს პირმა, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ; ბ) საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გაუქმების ან/და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის განკარგულება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრა -- --. 2018 წლის 09 აგვისტოს, -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა -- -- განიხილა -- -- საჩივარი და მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ.

ამდენად, მოსამართლემ -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან არ იკვეთება შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. მოსამართლე მოქმედებდა კანონის და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 იანვრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 21 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 21 აგვისტოს № -- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი